

შ.პ.ს. “სმნ ჯგუფი”-ს

ინ. მასალის სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოს
სკრინინგის ანგარიში

გურჯაანი, სოფ. ზეგანის მიმდებარე ტერიტორია

შესავალი

შ.პ.ს. “სმნ ჯგუფი”, გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზეგაანის მიმდებარედ, ფირმის საკუთებაში არსებულ ტერიტორიაზე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში, (ს.კ. 51.06.54.294), გეგმავს ინერტული მასალის სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოს მონტაჟს და მის შემდგომ ექსპლუატაციას.

საქართველოს კანონის “გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს 7-ე მუხლის შესაბამისად, ამავე კოდექსის II-ე დანართის, 5-ე პუნქტის, 5.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობა: “სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება”, ექვემდებარება სკრინინგის პროცედურის გავლას. რის საფუძველზეც დამუშავდა წინამდებარე პროექტი და წარმოდგენილია სკრინინგის პროცედურის გასავლელად.

ძირითადი მონაცემები საწარმოს შესახებ

1	2	3
1.	ობიექტის დასახელება	შ.პ.ს. “სმნ ჯგუფი“-ს ინ. მასალის სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმო
2.	ობიექტის მისამართი: ფაქტიური იურიდიული	გურჯაანი, სოფ. ზეგანის მიმდ. ტერიტორია ქ. თელავი, მშვიდობის ქ. №28 ა.
3.	საიდენტიფიკაციო კოდი	431 433 807
4.	GPS კოორდინატები	X– 561179 Y– 4628082
5.	ობიექტის ხელმძღვანელი: გვარი, სახელი ტელეფონი ელ. ფოსტა	მარი მთვარელიშვილი 5 71 777 677 marimtvarelisvili@mail.ru
6.	მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე	190 მ
6.	ეკონომიკური საქმიანობის სახე	სამშენებლო მასალების წარმოება
7.	გამოშვებული პროდუქციის სახეობა	ქვიშა
8.	საპროექტო წარმადობა	ქვიშა (0-8 მმ) - 45000 მ ³ /წელ
9.	ნედლეულის სახეობა და ხარჯი	ღორღი – 50000 მ ³ /წელ
10.	საწვავის სახეობა და ხარჯი (გარდა სატრანსპორტო საშუალებებში გამოყენებული)	–
11.	სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში	260
12.	სამუშაო საათების რაოდენობა დღეში	8
13.	საკონსულტაციო ფირმა	შ.პ.ს. “სამთავრო” ტ. 5 99 39 85 33 znzn63@mail.ru

საწარმოს ადგილმდებარეობა

ტერიტორია, სადაც იგეგმება საქმიანობის განხორციელება, მდებარეობს გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზეგაანის მიმდებარედ, ფირმის კუთვნილ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში, მის აღმოსავლეთ ნაწილში (ს.კ. 56.06.54.294). ნაკვეთის მთლიანი ფართობი 8248 მ²). მიწის რეგისტრაციის shp ფაილები მოცემულია დანართში. საწარმოო დანადგარები წარმოადგენს შ.პ.ს. “სმნ ჯგუფის”-ს საკუთრებას.

უახლოესი დასახლებული პუნქტი: სოფ. ზეგაანი და მასში არსებული უახლოესი საცხოვრებელი სახლი, საწარმოდან დაშორებულია 190 მეტრით (ობიექტი არ არის დარეგისტრირებული საჯარო რეესტრის მონაცემთა ბაზაში), ხოლო ფირმის სახელზე დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთის, წარმოებისთვის გამოყენებული ნაკვეთის საზღვრიდან 150 მეტრით. აღმოსავლეთის მიმართულებით 70 მეტრში ფუნქციონირებს შ.პ.ს. “სმნ ჯგუფი”-ს კუთვნილი ბეტონის წარმოება (მიწის ს.კ. 56.06.56.166), ამავე მიმართულებით 200 მეტრში ი.მ. გია სამნიაშვილის ინ. მასლის სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმო (მიწის საკადასტრო კოდი 56.06.56.103). ჩრდილო აღმოსავლეთით 300 მეტრში მდ. ჭერმისხევის გადაკვეთზე განთავსებულია საავტომობილო და სარკინიგზო ხიდები. ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან საპროექტო ტერიტორიას გასდევს სასოფლო საავტომობილო გზა, რომელიც 300 მეტრში უერთდება თელავში მიმავალ საავტომობილო მაგისტრალს. სოფლის ამ გზიდან შემოდის გრუნტის გზა საპროექტო ტერიტორიაზე. ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით 220 მეტრში გადის 110 კვ. ძაბვის “კალაური”-ს ელ. გადამცემი ხაზი. ობიექტს აქვს საკუთარი ელ. მომარაგების, 10 კვ ძაბვის ხაზი.

საპროექტო საწარმოს ირგვლივ არსებული სხვა ტერიტორიების უმეტესობა წარმოადგენს კერძო საკუთრებებს და როგორც წესი ისინი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა. სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოსთვის გამოყენებულია ნაკვეთის მთლიანი ფართობიდან 2200 მ². რომელიც მოქცეულია შემდეგ კოორდინატებში:

№	X	Y
1	561142	4628054
2	561136	4628080
3	561197	4628102
4	561198	4628098

5	561174	4628052
6	561177	4628030
7	561153	4628029
8	561148	4628041
9	561161	4628044
10	561158	4628057
WGS 84		

ბუნებრივი რესურსების გამოყენება.

საწარმო იმუშავებს შესყიდულ ნედლეულზე, უკვე გადამამუშავებული ღორღის შექმნა მოხდება შესაბამისი პროდუქციის მწარმოებელი ფირმებისგან. საწარმოო დანიშნულების წყლის აღება მოხდება მდ. ჭერმისხევიდან, რისთვისაც სამინისტროსთან შეთანხმდება ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის აღების ტექნიკური პირობა. სხვა ბუნებრივი ნედლეულის, მ.შ. ბიომრავლფეროვნების რესურსების გამოყენება, საწარმოში არ ხდება.

ტექნოლოგიური პროცესის მოკლე აღწერა

საწარმოს ტერიტორიაზე იმოქმედებს ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი ერთი ხაზი. ინ. მასალა ავტოთვითმცლელებით შემოიზიდება საწარმოს ტერიტორიაზე და დაიყრება ღია საწყობში (1), საიდანაც ავტოჩამტვირთველით ჩაიყრება მიმდებ ბუნკერში (2). ბუნკერიდან ინერტული მასალა ლენტური კონვერით მიეწოდება როტორულ ჰორიზონტალურ სამსხვრევს (3) სამსხვრევიდან მიღებული ფრაქცია 0-8 მმ, საცერის გავლით (4) იყრება ღია საწყობში (5), ხოლო ფრაქციის >8 მმ, ხელახალი დამამუშავებისთვის ბრუნდება როტორულ სამსხვრევში. ნედლეულის გადამამუშავების პერიოდში, სამსხვრევი დანადგარიდან მტვრის გამოყოფის შესამცირებლად (მსხვრევა მიმდინარეობს მშრალი მეთოდით) მოხდება წყლის ჭავლის მისხურება სამსხვრევი დანადგარის ღია ნაწილზე, ასევე საცერიდან გამოსულ მიღებული პროდუქციის გადამზიდ ლენტურ კონვერზე. გაანგარიშებაში შეტანილია სამსხვრევი დანადგარების და მისი ნაწილების შეკეთებისას ელ. შედულების სამუშაოებისას გამოფრქვეული მავნე ნივთიერებები.

საწარმოში გამოყენებულია შემდეგი სახის ძირითადი ტექნოლოგიური დანადგარები:

1. ინ. მასლის მიმღები ბუნკერი - 1 ერთ;
2. როტორული სამსხვრევი - 1 ერთ;
3. საცერი - 1 ერთ.
4. ლენტური კონვეირები.

საწარმოს ნედლეულით მომარაგება. საწარმოში შესყიდული ინ. მასლის შემოტანა ხდება ავტოთვითმცლელებით, წლიწადში შემოსატანი ნედლეულის საპროექტო მოცულობა შეადგენს 50000 მ3-ს (75000 ტ), გამოყენებული ავტოტრანსპორტის ტვირთამწეობა შეადგენს საშუალოდ 15 ტ-ს. წარმოების ზემოაღნიშნული მოცულობით ნედლეულით მოსამარაგებლად, წელიწადში საჭირო იქნება 5000 გადაზიდვის ჩატარება, დღეში საშუალოდ 19 გადაზიდვა. ტრანსპორტირების საშუალო მანძილი შეადგენს 0.5-4.0 კილომეტრს. ავტოტრანსპორტის გადადგილება ხდება მყარსაფარიან გზაზე. ტრანსპორტირების მარშრუტები არ გადის დასახლებულ პუნქტებში.

თანდართულ ორთოფოტოზე და გეგმაზე დატანილია მონაცემები საწარმოს ნედლეულით მომარაგების და მიღებული პროდუქციის ტრანსპორტირების შესახებ, ასევე დანადგარების განაწილება მიწის ნაკვეთზე.

ატმოსფერულ ჰაერზე შესაძლო ზემოქმედების დადგენის მიზნით ჩატარდა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გამოყოფილი მავნე ნივთიერებების ინვენტარიზაცია, აღირიცხა დაბინძურების 7 წყარო. კერძოდ:

- სამსხვრევი დანადგარი (გ-1);
- ინ. მასლის გადმოტვირთვის ადგილი (გ-2);
- ინ. მასლის ბუნკერში ჩატვირთვის ადგილი (გ-3);
- ინ. მასლის დასაწყობების ადგილი (გ-4);
- მიღებული პროდუქციის (ქვიშა) დასაწყობების ადგილი (გ-5);
- ლენტური ტრანსპორტიორები (გ-6);
- ელექტროშედულების სამუშაოები (გ-7).

ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში.

საწარმოს ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ანგარიში განხორციელდა დარგობრივი მეთოდის საფუძველზე, საანგარიშო მეთოდების გამოყენებით [7]. ანგარიში შესრულებულია საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებისთვის.

გაფრქვევის იმ წყაროსთვის საიდანაც გამოიყოფა მტვერი, გათვალისწინებულია მტვერის დალექვის კოეფიციენტი - 0.4 [7].

1). მავნე ნივთიერების გაფრქვევის ანგარიში სამსხვრევი დანადგარებიდან (გაფრქვევის წყარო გ-1).

საწარმოში მიმდინარეობს ინ. მასლის ერთჯერადი მსხვრევა მშრალი მეთოდით. სამსხვრევი დანადგარის საპროექტო წარმადობა საათში შეადგენს 24 მ³-ს, წელიწადში 50000 მ³-ს. ჩვენს შემთხვევაში გადასამუშავებელია 50000 მ³ (75000 ტ) ინერტული მასალა. ინ. მასალის ერთჯერადი მსხვრევისას მშრალი მეთოდით, თითოეულ დამსხვრეულ ტონაზე ატმოსფეროში გამოიყოფა 0.07კგ მტვერი [7].

შესაბამისად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მტვერის წლიური რაოდენობა იქნება (გადასამუშავებელი მასალის მოცულობა:

$$G_{\text{მტვ}} = 75000 \times 0.07 / 10^3 = 5.25 \times 0.4 = 2.1 \text{ ტ/წელ.}$$

ხოლო წამური გაფრქვევა იქნება:

$$M_{\text{მტვ}} = 2.1 \times 10^6 / (2080 \times 3600) = 0.28 \text{ გ/წმ.}$$

2) მტვერის გაფრქვევის ანგარიში ინ. მასალის ავტოთვითმცლელებიდან ჩამოცლის ადგილიდან (გაფრქვევის წყარო გ-2).

ინ. მასალის ავტოთვითმცლელებიდან ჩამოცლის დროს გამოყოფილი მტვერის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტვ}} = K_1 \times K_2 \times K_3 \times K_4 \times K_5 \times K_7 \times G \times B \times 10^6 / 3600 \text{ გ/წმ.}$$

სადაც:

K_1 – მასალაში მტვერის ფრაქციის წილი;

K_2 – მტვერის მთლიანი მასიდან აეროზოლში გადასული მტვერის წილი;

K_3 – მტვერის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;

K_4 – გარეშე ზემოქმედებისგან საწყობის დაცვითუნარიანობის მახასიათებელი კოეფიციენტი;

K_5 – მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;

K_7 – გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტი;

G – სამსხვრევი დანადგარის წარმადობა, ტ/სთ;

B – გადატვირთვის სიმაღლეზე დამოკიდებულების კოეფიციენტი.

ზემოხსენებული კოეფიციენტების მნიშვნელობები საწარმოს კონკრეტული პირობებისთვის, მოცემულია ცხრილ №2 -ში.

ცხრილი №2

პარამეტრის დასახელება	აღნიშვნა	პარამეტრის მნიშვნელობა	
		ქვიშა	ღორდი
1	2	3	4
მასალაში მტვრის ფრაქციის წილი	K_1	0.05	0.01
მტვრის მთლიანი მასიდან აეროზოლში გადასული მტვრის წილი	K_2	0.03	0.001
მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი	K_3	1.2	1.2
გარეშე ზემოქმედებისგან საწყობის დაცვითუნარიანობის მახასიათებელი კოეფიციენტი	K_4	1.0	1.0
მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი	K_5	0.01	0.01
დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილის მახასიათებელი კოეფიციენტი	K_6	1.45	1.45
გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტი	K_7	0.8	0.5

სამსხვრევი დანადგარის წარმადობა, ტ/სთ	G	24.0	24.0
გადატვირთვის სიმაღლეზე დამოკიდებულების კოეფიციენტი	B	0.5	0.5
მტვრის წატაცების ინტენსივობა 1 მ ² ფაქტიური ზედაპირის ფართობიდან, გ/მ ² წმ	q	0.002	0.002
ამტვერების ზედაპირი, მ ²	f	1000	500

ზემოაღნიშნულ ფორმულაში შესაბამისი მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ გაფრქვეული მტვრის რაოდენობას:

$$M_{\text{მტვ}} = 0.01 \times 0.001 \times 1.2 \times 1.0 \times 0.01 \times 0.5 \times 24 \times 0.5 \times 10^6 / 3600 = 0.0005 \times 0.4 = 0.00008 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვ}} = 0.00008 \times 2080 \times 3600/10^6 = 0.0006 \text{ ტ/წელ}$$

3) მტვრის გაფრქვევის ანგარიში ინ. მასალის სამსხვრევის ბუნკერში ჩაყრის ადგილიდან (გაფრქვევის წყარო გ-3).

ღორღის სამსხვრევის მკვებავ ბუნკერში ჩაყრის დროს გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება გ-2 წყაროს ანალოგიურად:

$$M_{\text{მტვ}} = 0.01 \times 0.001 \times 1.2 \times 1.0 \times 0.01 \times 0.5 \times 24 \times 0.5 \times 10^6 / 3600 = 0.0005 \times 0.4 = 0.00008 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვ}} = 0.00008 \times 2080 \times 3600/10^6 = 0.0006 \text{ ტ/წელ}$$

4) გაფრქვევების ანგარიში ინერტული მასალების საწყობიდან (გაფრქვევის წყარო გ-4).

ინერტული მასალის (ღორღი) საწყობიდან გამოყოფილი მტვერის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტვ}} = K_3 \times K_5 \times K_6 \times K_7 \times q \times f \text{ გ/წმ.}$$

სადაც:

K_3 – არის მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;

K_5 – არის მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;

K_6 – არის დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილის მაჩვენებელი კოეფიციენტი, მერყეობს 1.3 –დან 1.6 –დღ;

K_7 – არის არის გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტი;

q – არის მტვრის წატაცების ინტენსივობა 1 მ² ფაქტიური ზედაპირის ფართობიდან, გ/მ² წმ;

f – არის ამტვერების ზედაპირი, მ².

ზემოთმოყვანილი მნიშვნელობები მოცემულია ცხრილ № 3 -ში.

ფორმულაში შესაბამისი მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

$$M_{\text{მტვ}} = 1.2 \times 0.01 \times 1.45 \times 0.5 \times 0.002 \times 500 = 0.0087 \times 0.4 = 0.0035 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვ}} = 0.0035 \times 8760 \times 3600/10^6 = 0.11 \text{ ტ/წელ}$$

5) გაფრქვევების ანგარიში მიღებული პროდუქციის (ქვიშა) საწყობიდან (გაფრქვევის წყარო გ-5)

მიღებული პროდუქციის (ქვიშა) საწყობიდან გამოყოფილი მტვერის რაოდენობა იანგარიშება გ-4 წყაროს ანალოგიურად ქვიშის შესაბამისი მნიშვნელობების ჩასმით:

$$M_{\text{მტვ}} = 1.2 \times 0.01 \times 1.45 \times 0.8 \times 0.002 \times 1000 = 0.028 \times 0.4 = 0.011 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვ}} = 0.011 \times 8760 \times 3600/10^6 = 0.351 \text{ ტ/წელ}$$

6) მტვრის გაფრქვევის ანგარიში ინერტული მასალების ლენტური ტრანსპორტიორით გადაადგილებისას (გაფრქვევის წყარო გ-6)

ინერტული მასალების ლენტური ტრანსპორტიორით გადაადგილებისას მტვრის გაფრქვევები იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტვ}} = W_{\text{შებ.}} \times K_{\text{დაქ.}} \times B \times L \times 10^3 \text{ გ/წმ.}$$

სადაც:

$W_{\text{შებ.}}$ – არის ჰაერის შებერვით გამოწვეული მტვრის ხვედრითი გაფრქვევა და ტოლია 3×10^{-5} კგ/მ² წმ.

$K_{\text{დაქ.}}$ – არის ნელღეულის დაქუცმაცების კოეფიციენტი და უდრის 0.1 -ს.

B – არის ლენტის სიგანე, მ. ჩვენს შემთხვევაში უდრის 0.6 მ.

L – არის ლენტის ჯამური სიგრძე, მ. ჩვენს შემთხვევაში უდრის 50 მ.

ფორმულაში შესაბამისი მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

$$M_{\text{მტვ}} = 3 \times 10^{-5} \times 0.1 \times 0.6 \times 50 \times 10^3 = 0.09 \times 0.4 = 0.036 \text{ გ/წმ.}$$

$$G_{\text{მტვ}} = 0.0216 \times 2080 \times 3600/10^6 = 0.162 \text{ ტ/წელ.}$$

7) აეროზოლების და მანგანუმის და მისი ჟანგეულობის გაფრქვევის ანგარიში ლითონის შედუღების საამქროდან (გაფრქვევის წყარო გ-7).

სარემონტო სამუშაოებზე, საამქროში წელიწადში საპროექტოდ მოიხმარება 250 კგ. ელექტროდი. ერთი კილოგრამი ელექტროდის გამოყენებისას ატმოსფეროში გამოიყოფა 20 გ. აეროზოლი და 2 გ მანგანუმი და მისი ჟანგეულები [7].

ატმოსფეროში გაფრქვეული ნივთიერებების რაოდენობა იქნება:

აეროზოლი:

$$G_{\text{აეროზ.}} = 250 \times 20/10^6 = 0.005 \text{ ტ/წელი}$$

$$M_{\text{აეროზ.}} = 0.005 \times 10^6/2080 \times 3600 = 0.0007 \text{ გ/წმ}$$

მანგანუმი და მისი ჟანგეულები:

$$G_{\text{Mn.}} = 250 \times 2 / 10^6 = 0.0005 \text{ ტ/წელი}$$

$$M_{\text{Mn.}} = 0.0005 \times 10^6/2080 \times 3600 = 0.00007 \text{ გ/წმ}$$

გაანგარიშების შედეგების ანალიზი

საწარმოს ფუნქციონირების შედეგად ატმოსფეროში გამოფრქვეული მავნე ნივთიერებების ჯამური რაოდენობა იქნება:

არაორგანული (ინ. მასლის) მტვრი:

$$G_{\text{მტვ}} = 2.7242 \text{ ტ/წელ}$$

$$M_{\text{მტვ}} = 0.3306 \text{ გ/წმ.}$$

აეროზოლი:

$$G_{\text{აეროზ.}} = 0.005 \text{ ტ/წელი}$$

$$M_{\text{აეროზ.}} = 0.0007 \text{ გ/წმ}$$

მანგანუმი და მისი ჟანგეულები:

$$G_{\text{Mn.}} = 0.0005 \text{ ტ/წელი}$$

$$M_{\text{Mn.}} = 0.00007 \text{ გ/წმ}$$

ხმაურის გავრცელება და ზემოქმედება

ხმაური წარმოადგენს სხვადასხვა სიხშირის და ინტენსივობის ბგერების მოუწესრიგებელ ერთობლიობას, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს მავნე ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე. ხმაურის წყარო შეიძლება იყოს ნებისმიერი პროცესი, რომელსაც მყარ, თხევად ან აიროვან გარემოში შეუძლია გამოიწვიოს ბგერითი წნევა ან მექანიკური რხევები. ხმაურს გააჩნია გარკვეული სიხშირე ან სპექტრი (ათვლება პერცეპტში) ბგერითი წნევის ინტენსივობა, რომელიც იზომება დეციბელებში. ადამიანის სმენას შეუძლია გაარჩიოს ბგერის სიხშირე 16 -დან 20 000 ჰერცის ფარგლებში.

საქმიანობის პერიოდში ხმაურის წარმოშობის ძირითად წყაროს წარმოადგენს სამსხვრევი დანადგარი, ვიბრაციული საცერი, ლენტური კონვეირი. მათგან უმთავრესია სამსხვრევი (როტორული, დაბალი სიმძლავრის სამსხვრევეები, მუშაობენ მონაცვლეობით), მისგან გამოყოფილი ხმაურის დონე შეადგენს 85 დბ-ს.

სხვადასხვა დანადგარების მიერ წარმოშობილი ბგერითი წნევის დონეები (L) განისაზღვრება ფორმულით:

$$L = L_p - 20 \lg r - \beta_\alpha r / 1000 - 8 \text{ დბ}$$

სადაც: L_p – არის სხვადასხვა მოწყობილობების მიერ გამოწვეული ბგერითი წნევის დონე, საწარმოს პირობებისთვის ის შეადგენს 90 დბ-ს.

r – მანძილია წყაროდან მოცემულ ადგილამდე

β_α – ატმოსფეროში ხმის ჩახშობის სიდიდეა დბ/კმ და მოცემულია ცხრილ 3-ში.

ცხრილი № 3

ოქტანური ზოლების საშუალო გეომეტრიული სიხშირე, ჰც	63	125	250	500	1000	2000	4000	8000
ხმისდასშობა, დბ/კმ.	0	0.7	1.5	3	6	12	24	48

ფორმულაში მნიშვნელობების ჩასმით, r მანძილისთვის მივიღეთ ბგერითი სიმძლავრის დონეები რომლებიც მოცემულია ცხრილი 4-ში.

ცხრილი №4

ოქტავური ზოლების საშუალო გეომეტრიული სიხშირე, ჰც	ბგერითი წნევის დონეები დეციბელებში, საწარმოდან 190 მ მანძილზე (უახლოეს მოსახლესთან)
63	34.78
125	34.77
250	34.69
500	34.41
1000	33.84
2000	32.70
4000	31.42
8000	26.62
ხმაურის ჯამური დონე	33.65

უნდა აღინიშნოს, რომ ბგერის გავრცელებაზე მოქმედებს ჰაერის ტემპერატურა, ქარის სიჩქარე და მიმართულება, ბგერის ჩახშობა ასევე განისაზღვრება ადგილის რელიეფით და ჰაერის ტენიანობით. თუ საწარმოს და დასახლებას შორის ტერიტორია დაფარული იქნება მრავალწლიანი ნარგავობით (როგორც ჩვენს შემთხვევაში), ხმის ჩახშობის სიმძლავრე გაიზრდება 8-12 დეციბელით. აქვე გასათვალისწინებელია, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს რელიეფის უფრო მაღალ ნიშნულზე: სხვაობა სიმაღლეში შეადგენს 15-20 მ. რელიეფის თავისებურების გამო, სახლსა და საწარმოს შორის პირდაპირი, ვიზუალური ხედვა არ არის, რაც თავის მხრივ ამცირებს ხმაურის გავრცელებას საცხოვრებლის მიმართულებით.

ჩატარებული გათვლების, გამოყენებული დანადგარების და წარმოების ტექნოლოგიის გათვალისწინებით, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან, ობიექტიდან წარმოქმნილი ხმაური დღის საათებში, როცა მუშაობს საწარმო, არ აღემატება დასაშვებ ნორმებს – 35 დბ. ღამის საათებში საწარმო არ მუშაობს.

ობიექტზე ულტრაბგერის წარმოშობის წყაროები არ არის.

წყალსარგებლობა

საწარმოს დანიშნულების წყალი გამოიყენება მცირე რაოდენობით: ღორღის სამსხვრევ დანადგარში: ნედლეულის მშრალი გადამუშავების დროს ხდება სამსხვრევის ღია ნაწილის და საცერიდან მიღებული პროდუქციის გადამზიდი ლენტური კონვეირის დანამვა, მისგან მტვრის გამოყოფის შემცირების მიზნით. წყლის აღება განხორციელდება მდ. ჭერმისხევიდან (წყლის აღების კოორდინატებია X-561121, Y-4628093). წყლის აღება მდინარიდან იწარმოებს 12 კვტ. სიმძლავრის ელ. ძრავით, წყლის მიწოდება განხორციელდება 50 მმ დიამეტრის, მიწაში ჩადებული პოლიეთილენის მილით, სიგრძით 70 მ.

1 მ³ ინ. მასალის გადამუშავებისას, დასანამად იხარჯება არაუმეტეს 0.03 მ³ წყალი. გამოყენებული წყლის წლიური საპროექტო რაოდენობა შეადგენს 1500 მ³/ს.

წლის მშრალ პერიოდში, მტვრის გამოყოფის შესამცირებლად ჩატარდება ავტომატური საგალი ნაწილის, ასევე ინ. მასალის საწყობების ზედაპირის მორწყვა. რისთვისაც წელიწადში საჭირო იქნება 150 მ³ წყალი. გამოყენებული

წყალი ან ორთქლდება, ან იჟლინთება მიღებული ქვიშის მასაში. საწარმოო გამოყენებული წყლის წარმოქმნა და ჩაშვება წყალსადინარში არ ხდება.

საწარმოო დანიშნულებით გამოყენებული წყლის ჯამური მოცულობა წელიწადში შეადგენს 1650 მ³-ს.

მდ. ჭერმისხევი მდ. ალაზნის მარჯვენა შენაკადია. სათავე აქვს გომბორის ქედის ჩრდილო აღმოსავლეთ კალთაზე, ზ.დ. 1118 მ სიმაღლეზე. სიგრძე შეადგენს 35 კმ-ს. აუზის ფართობი 154 კმ². საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. ჩამონადენის საშუალო წლიური ხარჯი შეადგენს 1.8 მ³/წმ.

რაც შეეხება საყოფაცხოვრებო დანიშნულების წყალს, იგი საწარმოში შემოიტანება გადასატანი ჭურჭლით გარედან, როგორც დასახლებული პუნქტების წყალსადენებიდან, ასევე საცალო ვაჭრობის ქსელიდან, მოთხოვნის შესაბამისად.

სამეურნეო – ფეკალური კანალიზაცია.

"სამშენებლო ნორმებისა და წესების" 2.04.03-85", 3.9 პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, როცა ჩამდინარე წყლების ხარჯი არ აღემატება დღე-ღამეში 1 მ³ -ს, დასაშვებია ამოსაწმენდი ორმოს მოწყობა.

ობიექტის მომსახურე პერსონალის რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 5 კაცს. თხევადი ნარჩენების მოცულობა 1 კაცზე შეადგენს 7.3 მ³/წელ. ანუ 0.02 მ³/დღ. ამდენად ჩვენს შემთხვევაში თხევადი ნარჩენის საერთო მოცულობა შეადგენს 0.1 მ³/დღ.

სანიაღვრე ჩამდინარე წყლების წარმოქმნა ხდება ატმოსფერული ნალექების (წვიმა, თოვლი) დროს.

საპროექტო ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების მოცულობა დაითვლება ფორმულით:

$$V = 10 \times F \times H \times K \text{ მ}^3/\text{წელ.}$$

სადაც:

V – არის სანიაღვრე წყლების ხარჯი, მ³/წელ;

F – საპროექტო ტერიტორიის ფართი, მ² (ჩვენს შემთხვევაში შეადგენს 0.22 ჰა-ს);

H – ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა, მმ, (ჩვენს შემთხვევაში შეადგენს წელიწადში 802 მმ-ს);

K – ტერიტორიის საფარის ტიპზე დამოკიდებულობის კოეფიციენტი (ჩვენს შემთხვევაში ხრემის საფარისთვის, რომელზეც განთავსებულია ინ. მასალების საწყობი და ტექნოლოგიური დანადგარები K=0.1).

ფორმულაში შეესაბამისი მონაცემების ჩასმით მივიღებთ:

$$V = 10 \times 0.22 \times 802 \times 0.1 = 176.4 \text{ მ}^3/\text{წელ}$$

ნალექების მაქსიმალური დღეღამური რაოდენობა საპროექტო ტერიტორიისათვის შეადგენს 84 მმ-ს. შესაბამისად სანიაღვრე წყლების მაქსიმალური დღე-ღამური მოცულობა იქნება:

$$V_{\text{ღ.ღამ}} = 10 \times 0.22 \times 84 \times 0.1 = 18.5 \text{ მ}^3/\text{ღ.ღამ}$$

სანიაღვრე წყლების მაქსიმალური საათური ხარჯი (წვიმის საშუალო ხანგრძლივობად დღე-ღამეში ვიღებთ 4 საათს) იქნება:

$$V_{\text{საათ.}} = 18.5 / 4 = 4.62 \text{ მ}^3/\text{საათ.}$$

სანიაღვრე წყლების მისაღებად, საწარმოს ტერიტორიაზე მოეწყობა გრუნტის ავზი, ტევადობით 20 მ³, მისი გაბარიტები იქნება; სიგრძე-5 მ, სიგანე 3 მ; სიღრმე 1.5 მ, მთლიანი მოცულობა 22.5 მ³, სასარგებლო მოცულობა 20 მ³. აქ შეგროვილი წყალი გამოყენებული იქნება ტერიტორიის მოსარწყავად. მდ. ჭერმისხევში საწარმოო გამოყენებული წყლების და სანიაღვრე წყლის ჩაშვება არ მოხდება.

ნარჩენები.

ტექნოლოგიური ციკლის დროს გადამუშავებული ინ. მასალა, მთლიანად, უნარჩენოდ გადადის პროდუქციაში და მიიღება ქვიშა. ამ პროცესში საწარმოო ნარჩენები არ წარმოიქმნება,

სახიფათო ნარჩენები ნავთობპროდუქტების შემცველი ნარჩენები (ნავთობპროდუქტებით გაჟღენთილი ჩვრები, სამსხვრევი დანადგარის საპოხი მასლების ნარჩენები და სხვა) საწარმოში წარმოიქმნება ტექნოლოგიური დანადგარების და მოძრავი მძიმე ტექნიკის პროფილაქტიკური მომსახურების დროს, მცირე რაოდენობით, მათ მისაღებად და დროებით შესანახად

გათვალისწინებულია სპეციალური სათავსი, რომელიც მოეწყო ნარჩენების კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად.

მოძრავი მექანიზმების მნიშვნელოვანი სარემონტო სამუშაოები ადგილზე არ ტარდება. ძრავის, ჰიდრავლიკის ზეთების, აკუმულატორების შეცვლა საწარმოში არ ხდება. მექანიზმების მომსახურება ხელშეკრულების საფუძველზე მიმდინარეობს სერვისცენტრში.

სახიფათო ნარჩენები, რომელიც წარმოქმნება საწარმოს საქმიანობისას, დროებით ინახება საწარმოს ტერიტორიაზე, შემდგომი უტილიზაციისთვის გადაეცემა უფლებამოსილ ფირმას, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

სანიაღვრე წყლის მიმღებ აუზში წარმოქმნილი ინერტული ნარჩენი, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს დაბალი კონდიციის პროდუქტს (დაბალი ხარისხის ქვიშა, წელიწადში არაუმეტეს 5 ტ) შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მშენებლობაში (სხვადასხვა მილსადენების ტრანშეების შესავსებად, ასევე დაზიანებული ფართობების რეკულტივაციისათვის და როგორც ინერტული შემავსებელი).

საყოფაცხოვრებო ნარჩენები გაიტანება ადგილობრივი კომუნალური სამსახურის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე. 1 ადამიანზე წელიწადში წარმოქმნილი ნარჩენის რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 0.7 მ3-ს. 5 თამანამშრომელზე წელიწადში წარმოქმნილი ნარჩენის საერთო რაოდენობა იქნება 3.5 მ³.

ინფორმაცია საწარმოში წარმოქმნილ ნარჩენებზე, მოცემულია ცხრილ №3-ში.

ამდენად არ არის საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებით გარემოს დაბინძურების და მასზე უარყოფითი ზემოქმედების რისკები.

ზემოქმედება გარემოს სხვა კომპონენტებზე

კუმულიაციური ზემოქმედება. ზემოქმედების შეფასებისას ხდება საქმიანობის განხორციელებისას მოსალოდნელი ზემოქმედების იდენტიფიცირება სხვა, არსებული, მიმდინარე, მსგავსი სახის ზემოქმედებებთან ერთად.

საპროექტო საწარმოდან აღმოსავლეთით ფუნქციონირებს შ.პ.ს. “სმნ ჯგუფი”-ს ბეტონის წარმოება, ამავე მიმართულებით 200 მეტრში ი.მ. გია სამნიაშვილის ინ.

მასალების სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმო. სხვა სამრეწველო ობიექტი მის სიახლოვეს არ არის. ბეტონის საწარმოდან, დალექვის კოეფიციენტის 0.4-ს გათვალისწინებით წელიწადში გამოიყოფა 1.8 ტ. (0.2164 გ/წმ) ინ. მასალის მტვერი და 0.8208 ტ (0.146 გ/წმ) ცემენტის მტვერი. გ. სამნიაშვილის კუთვნილი საწარმოდან გამოიყოფა 1.8524 (0.18132 გ/წმ) ინ. მასლის მტვერი. ჯამურად სამივე საწარმოდან წელიწადში გამოიყოფა ინ. მასალის მტვერი 6.3766 ტ-ს მოცულობით. შედეგების აეროზოლისა და მანგანუმის ჟანგეულების გამოფრქვევა უმნიშვნელოა.

საამქროს ექსპლუატაციის პერიოდში კუმულაციური ზემოქმედების ერთადერთ შესაძლო სახედ შეიძლება მივიჩნიოთ ხმაური და ინ. მასლის მტვერის გამოყოფა. ნდა გავითვალისწინოთ, რომ სამივე საწარმო განლაგებული სწორხაზოვნად, 200 მეტრის მანძილზე, რაიონში გაბატონებული ქარები ქრიან მდინარის ხეობის გასწვრივ დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით, უახლოესი დასახლება კი დაშორებული სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. საპროექტო საწარმოსა და უახლოეს საცხოვრებელს შორის გაშენებულია მრავალწლიანი ხე-მცენარეები. საცხოვრებელი სახლი საწარმოსთან შედარებით რელიეფის მაღალ ნიშნულზეა 15-20 მეტრით, სახლსა და საწარმოს შორის პირდაპირი, ვიზუალური ხედვა არ არის, ამავე დროს საპროექტო ობიექტი იმუშავებს ერთ ცვლად (8 სთ. დღ), დღის საათებში. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით შეიძლება ჩავთვალოთ, რომ **კუმულაციური ზემოქმედება** როგორც ხმაურის ასევე მტვერის გავრცელების კუთხით, დასაშვებ ფარგლებშია.

ზემოქმედების შესამცირებლად გათვალისწინებულია: საამქროში სამსხვრევი დანადგარების მუშაობა მხოლოდ დღის საათებში, წლის მშრალ პერიოდში საქმიანი ეზოს ტრანსპორტის სავალი ნაწილის და ინ. მასლის საწყობების ტერიტორიის დანამვა, ტექნოლოგიური დანადგარების გამართულ მდგომარეობაში ექსპლუატაცია.

საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებული ავარიის ან/და კატასტროფის რისკები.

საწარმოში არ არის გათვალისწინებული ფეთქებადი, ტოქსიკური, ქიმიური ნივთიერებების გამოყენება. დანადგარები აწყობილია ფოლადის კონსტრუქციებით, რაც მათ ანიჭებთ მნიშვნელოვან მდგრადობას ტექნოლოგიური პროცესის და მიწისძვრის შემთხვევაში. ტექნოლოგიური პროცესის

მიმდინარეობის დროს, თანამშრომელთა დაცვის კუთხით მიღებული იქნება სახანძრო და შრომის უსაფრთხოების ზომები. ნარჩენების მართვა მოხდება მოქმედი ნორმებისა და მოთხოვნების შესაბამისად, საშიში ნარჩენების გარემოში არ მოხდება. წყალსადინარში სანიაღვრე და საწარმოო გამოყენებული წყლის ჩაშვება არ იგეგმება.

ობიექტის სიახლოვეს და მის მიმდებარედ მეწყერები, ეროზიები და რაიმე სახის საშიში გეოლოგიური პროცესების ნიშნები არ გამოვლენილა. აქ განხორციელებული საქმიანობა გამოირიცხავს საშიში გეოლოგიური პროცესების წარმოშობას და ხელშეწყობას.

ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე.

საწარმოს ტერიტორიაზე და მის გარემოში არ არის აღრიცხული დაცული და ჭრააკრძალული სახეობები, ასევე ფლორისტული შემადგენლობის თვალსაზრისით ლანდშაფტის ღირებული ელემენტები. საპროექტო ტერიტორია მოკლებულია მცენარეულ საფარს. საწარმოს ირგვლივ არსებული მწვანე საფარი – საძოვარი და სასოფლო სამეურნეო სავარგულები არ განიცდის ცვლილებასა და დეგრადაციას.

ობიექტის ტერიტორიაზე და მის მიმდებარედასვეე არ აღრიცხულა ფაუნის წარმომადგენლები და მათი საბინადრო ადგილები. საწარმოში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესები შემდგომში ფაქტიურად გამორიცხავს აქ ფაუნის წარმომადგენელთა ბინადრობას. პოტენციური ზეგავლენა (უმნიშვნელო) მოსალოდნელია საწარმოს მიმდებარედ მობინადრე მინდვრის მღრღნელებზე და ენტოფაუნაზე.

ზემოქმედება ნიადაგსა და გრუნტზე

საწარმოს ტერიტორია წარმოადგენს არსასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს, მასზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა არ არის. შესაბამისად არ მოხდება ნიადაგის დაზიანება/დაბინძურება.

ზემოქმედება ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე.

საწარმოო გამოყენებული წყლები საამქროში არ წარმოქმნება, შესაბამისად არ ხდება მათი ჩაშვება ზედაპირულ და გრუნტის წყლებში. საკანალიზაციო წყლები გროვდება ჰერმეტიულ ბეტონის ჭაში და გაიტანება საასენიზაციო ავტომატურად, ხელშეკრულების საფუძველზე.

ამდენად ზედაპირული და გრუნტის წყლების დაბინძურების საშიშროება არ არის.

ლანდშაფტზე ზემოქმედებაც უმნიშვნელოა – ობიექტის იფუნქციონირებს არსებული, მოქმედი საწარმოების სიახლოვეს და ჯდება განაშენიანების საერთო ფონში. შესაბამისად საწარმოს აქ განთავსება და შემდგომი ექსპლუატაცია არ გამოიწვევს ლანდშაფტის ცვლილებას. საპროექტო ტერიტორიის ირგვლივ ბუნებრივი ლანდშაფტი უკვე წლების განმავლობაშია სახეშეცვლილი.

დაცული ტერიტორიები – საწარმოს უშუალო სიახლოვეს (500 მ) არ არის. უახლოესი დაცული ტერიტორია მარიამიჯვრის სახელმწიფო ნაკრძალი დაშორებულია დასავლეთის მიმართულებით, 29 კილომეტრით. შესაბამისად არ მოხდება საქმიანობის შედეგად დაცულ ტერიტორიებზე უარყოფითი ზემოქმედება.

ისტორიული და არქეოლოგიური ძეგლები – ვიზუალური დათავალიერებით საწარმოს უშუალო სიახლოვეს არ არის, ასევე არ განიხილება მათზე მოსალოდნელი ზემოქმედების ალბათობა.

საწარმოს გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით არ განიხილება ზემოქმედების **ტრანსსასაზღვრო, ჭარბტენიან ფართობებზე** და ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიაზე, სადაც გაბატონებულია **საქართველოს “წითელი ნუსხის”** სახეობები, ზემოქმედება.

სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით საწარმოს საქმიანობა შეიძლება შეფასდეს როგორც დადებითი. საწარმოში ადგილობრივი მოსახლეობიდან შესაძლებელია დასაქმდეს 4-5 ადამიანი. წარმოების განვითარება შესაძლებლობას ქმნის მომავალში გაიზარდოს დასაქმებულთა რიცხვი. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ქარხანაში წარმოებული პროდუქციის შემდგომ გამოყენებაზე დასაქმებულია ადამიანთა მნიშვნელოვანი რაოდენობა.


საწარმოს იფუნქციონირება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის შევსებას და მომუშავეთა ეკონომიკური მდგომარეობის (ხელფასი) გაუმჯობესებას. გამოშვებული პროდუქცია: ქვიშა, ხელს შეუწყობს ადგილზე სამშენებლო პროდუქციის და სამუშაოების წარმოებას, განავითარებს ადგილობრივ ინფრასტრუქტურას და სტიმულს მოიცემს ახალი წარმოებების ამოქმედებას. გაიზრდება მოთხოვნა სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) მოპოვებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი “ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ”, 1999 წ.
2. საქართველოს კანონი წყლის შესახებ, 1999 წ.
3. საქართველოს კანონი "გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი". თბილისი, 2077 წ.
4. საქართველოს კანონი "ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ". თბილისი, 2007 წ.
5. სხვადასხვა დარგის საწარმოების ძირითადი ტექნოლოგიური მოწყობილობა-დანადგარებიდან ატმოსფეროში მანე ნივთიერებათა ხვედრითი გაფრქვევების ნორმატიული მაჩვენებლები, მესამე (გადამუშავებული) გამოცემა (11-იდან 21-მდე განყოფილება და დანართი), ხარკოვი, 1991 წელი (რუსულ ენაზე).
6. EMEP/CORINAIR ევროპაში ატმოსფერულ გაფრქვევათა ინვენტარიზაცია, ატმოსფერულ გაფრქვევათა ინვენტარიზაციის სახელმძღვანელო, 1997 წ.
7. საქართველო მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბერის დადგენილება №435 – “დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე”
8. Оценка источников загрязнения атмосферы, воды и суши. Александр П. Экономопулос. Университет Демокрита во Фракии, ВОЗ, Женева, 1993.


საწარმოს გეგმა

მ-1:500




1. ინ. მასლის (ღორღი)საწყობი
2. მიმღები ბუნკერი
3. როტორული სამსხვრევი
4. საცერი
5. პროდუქციის (ქვიშა 0-8 მმ) საწყობი
6. ლენტური კონვეირები

საწარმოს ტერიტორიის ორთოფოტო



საწარმოს გეგმა ორთოფოტოზე საჯარო რეგისტრში რეგისტრირებული მიწის კონტურით



1. სამსხვრევი დანადგარი; 2. ინ. მასალის საწყობი; 3. პროდუქციის საწყობი



მანძილი საპროექტო სამსხვერველი დანადგარიდან გ. საშინაშვილის სამსხვერველ დანადგარამდე, 200 მ

მანძილი საპროექტო სამსხვერველი დანადგარიდან უახლოეს მოსახლემდე, 190 მ

მანძილი საპროექტო სამსხვერველი დანადგარიდან "სმნ ჯგუფი"-ს ბეტონის კვანძამდე 70 მ



მონაცემები მოსალოდნელ ნარჩენებზე

ცხრილი # 5

ნარჩენის კოდი	ნარჩენის დასახელება	სახიფათო (დიახ/არა)	ფიზიკური მდგომარეობა	სახიფათობის მახასიათებელი	მიახლოებითი რაოდენობა
05 01 10	სალექარში წარმო- ქმნილი შლამი	არა	მყარი	-	5 ტ
16 01 17	შავი ლითონი (ჯართი)	არა	მყარი	-	0,7 ტ
16 07 08	ნავთობის შემცველი ნარჩენები	დიახ	მყარი	H3 -B	0,02 ტ
20 03 01	შერეული მუნიციპალური ნარჩენები	არა	მყარი	-	0,25ტ



ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882022306218 - 04/05/2022 13:53:01

მომზადების თარიღი
11/05/2022 14:51:52

საკუთრების განყოფილება

ზონა გურჯაანი	სექტორი მუკუზანი	კვარტალი 54	ნაკვეთი 294	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო დამუსგებელი ფართობი: 8248.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი:
------------------	---------------------	----------------	----------------	--

მისამართი: გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი
ზეგაანი

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882022121722 , თარიღი 21/02/2022 13:19:59
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 25/02/2022

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი: 21/02/2022 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრები:
შპს "სმნ ჯგუფი" , ID ნომერი: 431433807

მესაკუთრე:
შპს "სმნ ჯგუფი"

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

შეზღუდული სარგებლობა

განცხადების
რეგისტრაცია
ნომერი
882021917953
თარიღი 27/10/2021
13:26:01

საგანი:649.00 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ვრცელდება სერვიტუტის უფლება;

მომართვა, რეესტრის ნომერი N9/66966, დამოწმების თარიღი 27/10/2021, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

უფლების
რეგისტრაცია: თარიღი
28/10/2021

ვალდებულება

ყაღაბა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მაგერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას სამემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ გერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებისა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში გექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეაგვით განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge